

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება

შპს „ლორგო“

ს/კ 209480239



ფინანსური მდგომარეობა

საკუთარი კაპიტალი

საქმიანობის შედეგები

ფულადი სახსრების მოძრაობა

ბალანსის უწყისი

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

2. საზოგადოების ძირითადი საქმიანობა

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა მომზადების საფუძველი

4. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, წარდგენის ვალუტა.

5. სავაჭრო მოთხოვნები ,

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

7. ძირითადი საშუალებები

8. არამატერიალური აქტივები

9. სავაჭრო ვალდებულებები

10. ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

11. იჯარა

12. საკუთარი კაპიტალი

13. ამონაგების აღიარება

14. მოგების გადასახადი

15. დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ)

16. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები ხელფასები,

17. დივიდენდის განაწილება

18. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

19. ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოცემის შემდეგ

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

31/12/2019 31/12/2018 01/01/2018

აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები	120065	179725	112555
სავაჭრო მოთხოვნები	2570395	1866422	1498806
გადახდილი ავანსები	118437	212092	217109
მარაგები	910559	792895	818624
მზა პროდუქცია	909948	789353	814989
სხვა	611	3542	3635
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	60314	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	16334	1951	2821
ძირითადი საშუალებები	432226	273783	245428
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	4228330	3326868	2895343

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	335141	137924	110292
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	14633
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	1138570	679190	823452
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	16634	0	0
სულ ვალდებულებები	1490345	817114	948377

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2000	2000	2000
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	2735985	2507754	1944966
გადაფასების რეზერვი	0	0	0
სხვა რეზერვები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2737985	2509754	1946966
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4228330	3326868	2895343

30-09-2020



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	2019	2018
ნეტო ამონაგები	13207086	10153252
საქონლის გაყიდვიდან	13151100	10152574
მომსახურების გაწევიდან	55986	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	678
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-9307087	-7119755
საწყისი მარაგები	792895	818624
მარაგების შესყიდვა	9461250	7094026
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	3899999	3033497
სხვა შემოსავალი	57804	25374
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1068272	-893127
ცვეთა და ამორტიზაცია	-51017	-36692
საპროცენტო შემოსავალი:	4307	8999
საპროცენტო ხარჯი :	-53689	-48045
იჯარის ხარჯი	-172881	-169491
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1442904	-961128
სულ საოპერაციო ხარჯები	-2726652	-2074110
საოპერაციო მოგება	1173347	959387
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	120065	179725
მარაგები	910559	792895
სხვა არაფინანსური აქტივები	448560	275734
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-1904300	-1034953
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი	748231	1172788
მოგების გადასახადი	0	0
მოგება/(ზარალი)	748231	1172788
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	748231	1172788
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	2509754	1946966
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' ,	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-520000	-610000
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2737985	2509754

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-59660	67170
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	0	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-59660	67170
სავალუტო კურსის ეფექტი	0	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	179725	112555
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	120065	179725

30.09.2020



კომპანიის დასახელება: შპს ლორეო, № 209480239
 ბალანსის უწყისი
 31/12/2019

აქტივები

მიმდინარე აქტივები:	
ნაღდი ფული	50872
საბანკო ანგარიში	69193
დებიტორული დავალიანება	2570395
საგადასახადო ვალდებულებები	0
სულ დებიტორული დავალიანება	2570395
სასაქონლო მარაგები	909948
წინასწარ გაყიდული ხარჯები	611
სხვა მისაღები იანხები	178751
სხვა მისაღები იანხები	0
მთლიანი მიმდინარე აქტივები	3779770

ძირითადი საშუალებები:	
სატრანსპორტო საშუალებები	422915
დაგროვილი ცვეთა	153736
სულ სატრანსპორტო საშუალებები	269179
ავეჯი და იფისის მოწყობილობა	67423
დაგროვილი ცვეთა	34553
სულ ავეჯი და იფისის მოწყობილობები	32870
მოწყობილობა და დანადგარები	38153
დაგროვილი ცვეთა	4424
სულ მოწყობილობა და დანადგარები	33729
უძრავი ქონება	12137
დაგროვილი ცვეთა	793
სულ უძრავი ქონება	11344
მიწა	85104
მთლიანი ძირითადი საშუალებები	432226

არამატერიალური აქტივები:	
პროგრამული უზრუნველყოფა	16334
გუდვილი	0
მთლიანი არამატერიალური აქტივები	16334

მთლიანი აქტივები	4228330
-------------------------	----------------

დირექტორი: გ. ბუღალაძე /ლეონ ხვედელიანი/

მთ. ბუღალტერი: მ. ბუღალაძე /ნათიანოზაძე/

ქ. თბილისი, 31 დეკემბერი 2019 წელი, (ვალუტა ლარი)

ვალდებულებები და კაპიტალი

მიმდინარე ვალდებულებები:	
კრედიტორული დავალიანება	351775
დარიცხული გადასახადები	0
დარიცხული ხელფასები	0
ავანსად მიღებული შემოსავლები	0
მოკლევადიანი სესხები	1138570
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	1490345

გრძელვადიანი ვალდებულებები:	
გრძელვადიანი სესხები	0
გადავადებული გადასახადები	
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	0

მთლიანი ვალდებულებები	1490345
------------------------------	----------------

კაპიტალი:	
საკუთარი კაპიტალი	2000
გაუნაწილებელი მოგება	2735985
მთლიანი კაპიტალი	2737985

მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	4228330
--	----------------



1. **ზოგადი ინფორმაცია შპს „ლორგო“ ს/ნ 209480239** (შემდგომში „საზოგადოება“) დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საზოგადოების იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქ # 146, (ყოფილი კაიროს ქუჩა #42დ) სწორედ ესაა კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართი, კომპანია აღნიშნულ მისამართზე არის იჯარით, და საწყობიც, ოფისიც, ავტოპარკიც აქვს ამ მისამართზე, რეგიონებში არ გააჩნია ფილიალები.

2. **საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:** საბითუმო ვაჭრობა კვების პროდუქტებით. იმპორტით მზა საქონელი შემოაქვს რუსეთიდან და გერმანიიდან. და თბილისში დისტრიბუციის წესით და რეგიონებში სუბ დისტრიბუტორების დახმარებით ახერხებს მთელი საქართველოს მასშტაბით კვების პროდუქტების მაღაზიების თავისი პროდუქტით მომარაგებას.

საზოგადოება დაფუძნდა 2000 წლის 27 აპრილს; წლების განმავლობაში მესაკუთრეებსა და დირექტორების ჩამონათვალში ხშირად შევიდა ცვლილებები და ამ ეტაპისათვის საზოგადოებას ჰყავს სამი მესაკუთრე და სამი დირექტორი მესაკუთრეები:

ქეთევან ხვედელიანი, პ/ნ 01027064755, 40%წილის მმართველი

ჯემალი ხვედელიანი, პ/ნ 01014001449, 40%წილის მმართველი

ნოდარ სტეფანიშვილი, პ/ნ 01029002997, 20%წილის მმართველი.
დირექტორები:

ლევან ხვედელიანი, პ/ნ 01014002284,

ნოდარ სტეფანიშვილი, პ/ნ 01029002997,

თემურ ხვედელიანი, პ/ნ 01029007183.

3. **მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა მომზადების საფუძველი** აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „მსს ფასს“), რაც ასახავს საზოგადოების საადრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების „მსს ფასს-ზე გადასვლა“- ფარგლებში) საზოგადოება ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ: მისი ფინანსური ანგარიშგების და მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 01 იანვარი; ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით. ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული

ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული. ფინანსური ანგარიშგების მოზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას საზოგადოების საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპები, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ მინიმუმ უახლოესი 1-2 წლის განმავლობაში შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა, შესაბამისად კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

4. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

საზოგადოების ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. საზოგადოების ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

წარდგენის ვალუტა ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები ფულადი სახსრები და ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, მოთხოვნად დეპოზიტებს.

უცხოურ ვალუტაში ჩატარებული ოპერაციების ასახვა, რაც შეიძლება ითქვას უამრავი გვაქვს, ხდება ოპერაციის ჩატარების დღეს მოქმედი გაცვლითი ეროვნული ვალუტის კურსის მიხედვით, ასეთი ოპერაციების ჩატარებით მიღებული მოგება-ზარალი აისახება შემოსავლების ანგარიშგებაში.

2019 წლის 31 დეკემბერს, უცხოური ვალუტის ნაშთების გადაყვანის მიზნით გამოყენებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შემდეგი გაცვლითი კურსები:

31/12/2019 1 აშშ დოლარი = 2,8677 ლარი

31/12/2019 1 ევრო = 3,2095 ლარი

31/12/2019 1 რუბლი = 0,046423 ლარი

5. სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და შეიცავს მარაგების შეძენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯებს. შეფასებით გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო გასაყიდი ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი, ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია: სატრანსპორტო საშუალებები 5-15 წელი კომპიუტერები და სხვა საოფისე ინვენტარი 5-10 წელი ავეჯი 10-15 წელი სხვა ძირითადი საშუალებები 5-10 წელი

8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილი, კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფას და სხვა არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია: - არამატერიალური აქტივები 3-10 წელი თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს. აქტივების გაუფასურება ყოველი საანგარიშო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს აქტივის (ან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და

რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზარდა იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

9. სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საზოგადოების ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

10. ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი საზოგადოებას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულებების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

11. იჯარა

იჯარა ფინანსურად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც მისი პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საზოგადოებისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

12. საკუთარი კაპიტალი

საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ოდენობა საზოგადოების წესდებით განისაზღვრება. წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება) მხოლოდ საზოგადოების მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

13. ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

14. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა საზოგადოების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვეო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი ე.წ. „ესტონური“ მოდელის მიხედვით, საზოგადოებებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, საზოგადოების მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა, მიუხედავად იმის ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

15. დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ)

საზოგადოების მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. საზოგადოებას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ს თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, საზოგადოების მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით).

16. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები ხელფასები,

გასამრჯელოები, პრემიები და არაფულადი სარგებლები საზოგადოების მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც საზოგადოების თანამშრომლების

მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული, ხოლო ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებების, ბიულეტენების შემთხვევაში როდესაც საზოგადოების თანამშრომელი ისარგებლებს ამ უფლებით. არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე, საზოგადოების მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არაარსებითობის გამო). კომპანია მუდამ დროულად ახერხებს დათქმული გასამსჯელის გაანგარიშებას და გაცემას, არანაირი სახელფასო დავალიანება არ გააჩნია.

17. დივიდენდის განაწილება

დივიდენდის ვალდებულებად აღრიცხვა ხდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. და ხშირ შემთხვევაში არა მხოლოდ აღირიცხება და გამოიქვითება კაპიტალიდან, არამედ იმავდროულად გაიცემა წილის პროპორციულად დამფუძნებლებზე კანონმდებლობის ყველა წესის დაცვით.

18. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

მიუხედავად მსოფლიო პანდემიის ფონზე მიმდინარე მოვლენების შესაბამისად ქვეყანაში გაუარესდა ეკონომიკური მდგომარეობა, ჩვენი კომპანიისათვის, გამომდინარე იქედან რომ ბაზარზე წარმოდგენილი ვართ შედარებით აუცილებელი, მოთხოვნადი საკვები პროდუქტებით და არც არანაირი შეზღუდვა არ შეხებია ჩვენი კომპანიის საქმიანობას, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

19. ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება საზოგადოების იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.